პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 3 თებერვალი 1978 წ. □ № 29 (17073) □ ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ვენი ქვეყანა მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულების დიდმნიშვნელოვან ეტაპზე შედის. დაე 1978 წელი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის იყოს დამკვრელური შრომის, ახალი წარმატებების, ახალი გამარჯვებების წელი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.

# პროპაგანდისტის მაღალი მოვალეობა

„როგორც პროპაგანდისტს, ჩემს ამოცანად მიმაჩნია პარტიის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების ყოველი დებულება, თითოეული სტრიქონი კარგად გავაცნო ჩემს მსმენელებს, მივაღწიო იმას, რომ მიღებულ ცოდნას მათ პრაქტიკული საქმეებით შეასხან ხორცი". ეს სიტყვები მინსკის ამასწინანდელი პროპაგანდისტთა რესპუბლიკური შეკრების ტრიბუნიდან თქვა გაერთიანება „პოლიმირის" საამქროს უფროსმა ე. ა. პანიუტინმა. მაგრამ ამ სიტყვების გამეორების სრული საფუძველი ჰქონდა ბევრ იმათგანსაც, ვინც მონაწილეობს მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პარტიის პოლიტიკის პროპაგანდის, მშრომელთა იდეური და ზნეობრივი აღზრდის, ეკონომიკური განათლების საპატიო და უაღრესად პასუხსაგებ საქმეში.

პარტიული პროპაგანდისტი იყო და არის ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა. და მისი გარჯა, მისი კომპეტენტურობა და ოსტატობა, უნარი — ფრთა შეასხას მსმენელებს, გადასცეს მათ თავისი ცოდნა და თავისი ღრმა კომუნისტური რწმენა, — მნიშვნელოვანწილად აყალიბებს მილიონობით საბჭოთა მოქალაქის შეგნებისა და კულტურის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონეს, ხელს უწყობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

„ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ჩავუნერგოთ ადამიანს მაღალი საზოგადოებრივი მიზნებისადმი სწრაფვა, იდეური მრწამსი, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულება, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი". — აქ გადის კომუნიზმისათვის ბრძოლის მეტად დიდმნიშვნელოვანი ფრონტი, და ამ ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მიმდინარეობაც და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც".

როგორ წყდება დღეს ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანა? პრაქტიკა გვაძლევს ათასობით მაგალითს, რომლებიც პროპაგანდისტული საქმიანობის მაღალ ქმედითობას მოწმობს. ახორციელებენ რა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ", იდეოლოგიური ფრონტის აქტივისტები ბევრს ილვწიან, რათა ცოდნა, რომელსაც მსმენელები პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების პროცესში ეუფლებიან, მათი მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილი გახდეს და ყოველ მათგანს უყალიბებდეს აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, შეგნებულ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მოვალეობისადმი, უღვივებდეს შრომაში ნოვატორული ძიების სურვილს.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ცნობილი გაერთიანება „მოსკოვის ელექტრომილაკების ქარხანა", პროპაგანდისტთა აქტიური დახმარებითა და ხელშეწყობით აქ მარტო შარშან 1952 შეხვედრი გეგმა შეიმუშავეს, 4.248 ინდივიდუალური სოციალისტური ვალდებულება იკისრეს და 734 მომჭირნეობის პირადი ანგარიში გახსნეს. პრაქტიკულად გაერთიანების თითოეული მუშაკი მონაწილეობს შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მასალისა და ნახევარფაბრიკატების დაზოგვისათვის გაჩაღებულ მოძრაობაში. სწორედ ეს არის ნიმუში ცხოვრებასთან სწავლის განუყრელი კავშირისა, დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში ნაცადი დევიზის განხორციელებისა „პროპაგანდისტთა ცოდნა, იდეური მრწამსი და ორგანიზატორული ტალანტი — ხუთწლედის სამსახურში!".

ახლანდელი სასწავლო წელი მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომლებიც განსაკუთრებით ხელშემწყობ ვითარებას უქმნის შემოქმედებითი ინიციატივისათვის იდეოლოგიური ფრონტის აქტივისტებს. საბჭოეთის ახალი კონსტიტუცია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მასალები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებები, სიტყვები და სტატიები მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში როგორც დიდმნიშვნელოვანი საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც XXV ყრილობის მიერ წამოყენებული საზოგადოების შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების, მასების კომუნისტური აღზრდის საკვანძო ამოცანების რეალიზაციის გზებს განსაზღვრავს. პროპაგანდისტის ვალია ღრმად და სრულად გააცნოს თითოეულ მსმენელს ამ დოკუმენტების ნოვატორული არსი, რევოლუციური სულისკვეთება და მძლავრი აღმშენებლობითი პათოსი, გადააქციოს ისინი ახალი შრომითი გამარჯვებების შთამაგონებელ სტიმულად.

იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიონ, სკოლების, პოლიტიკური წრეებისა და თეორიული სემინარების ხელმძღვანელებმა უფრო გაბედულად უნდა ეუფლებოდნენ მეცადინეობის მოწყობის აქტიურ მეთოდებს, უყალიბებდნენ მსმენელებს პოლიტიკური თვითგანათლების, საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების, კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების შემოქმედებითი გააზრების ჩვევებს. პრაქტიკული დავალებები, რეფერატების კოლექტიური განხილვა, კონკრეტული სიტუაციების ანალიზი — ყოველივე ეს უნდა იყოს არა თვითმიზანი, არამედ შეჯიბრებაში ნოვატორული ძიების სტიმული. მაღალი ხარისხისა და შრომის ეფექტიანობისათვის ორიენტაცია, ნამდვილად მზრუნველი მიდგომა საქმისადმი, საჭიროა იდეური და ზნეობრივი შემოქმედების მრავალფეროვანი საშუალებებით ჩავუნერგოთ ადამიანებს ისეთი გამოვლინებების შეუწყნარებლობისა და აღკვეთისათვის ბრძოლის სურვილი, როგორიც არის უპასუხისმგებლობა და კონსერვატიზმი, ბიუროკრატიზმი, მეშჩანური დამოკიდებულება და გამორჩენის თვალით ყურება ცხოვრებაზე, ლოთობა და ხულიგნობა, სოციალური მუქთახორობა, იმპერიალისტური და რევიზიონისტული პროპაგანდის მონაჩმახი და ცილისწამება.

ყოველივე ეს მოითხოვს კიდევ უფრო ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი დონე და ხარისხი, ყოველნაირად სრულვყოთ თეორიული და მეთოდიკური მომზადება. პარტიული კომიტეტები, პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები, ეკონომიკური განათლების საბჭოები მოწოდებული არიან ნაყოფიერი მუშაობის საჭირო პირობები შეუქმნან მეცადინეობის ხელმძღვანელებს. პროპაგანდისტული ოსტატობის ნამდვილი სკოლა უნდა გახდეს მუდმივმოქმედი სემინარები. ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია ერთიანი საინფორმაციო-პროპაგანდისტული ცენტრების შექმნის პრაქტიკა, რომლებიც გამოცდილების ქმედითი გაზიარების, ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინოების ხელსაწყოების ინტენსიური გამოყენების შესაძლებლობებს იძლევიან.

და, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ და მკაცრ პარტიულ კონტროლს. ამ ცოტა ხნის წინ „პრავდაში" დავასახელეთ ფაქტი, როცა დუშანბეს საზოგადოებრივი კვების ტრესტის ცალკეული პროპაგანდისტები საერთოდ არ აწყობდნენ მეცადინეობას და მაინც აბარებდნენ ანგარიშს, თითქოს ეს მეცადინეობა ჩაეტარებინოთ. სწავლებისადმი ფორმალური, მედავითნური მიდგომის შემთხვევებს ვეცნობით სარედაქციო ფოსტის ზოგიერთ წერილში. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს: თვალისახვევა პოლიტიკურ განათლებაში შეუწყნარებელია.

პირველი მარქსისტული წრეებიდან, ლენინური პარტიის დაბადებიდანვე პროპაგანდისტის მაღალი წოდება ხალხში სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. დაე, ეს წოდება ღირსეულად ატარონ იმათ, ვისაც დღეს მინდობილი აქვს ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დავალება! დაე, ისინი სიტყვით და საქმით შთააგონებდნენ ადამიანებს დამკვრელურ შრომას ხუთწლედის მესამე წელს, ფრთას ასხამდნენ ახალი გამარჯვებებისათვის კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

„პრავდის" 2 თებერვლის მოწინავე.

# ხარისხის ხუთწლედს — ხარისხიანი პროდუქცია

## კარგი სტარტი

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს და მნიშვნელოვან შრომით წარმატებასაც მიაღწია.

ელექტროვაგონშემკეთებლებმა საწარმოს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით წამოჭრილი სიძნელეების მიუხედავად თავდადებული შრომით ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით შეასრულეს იანვრის გეგმა და ამავდროულად მყარი საფუძველი ჩაუყარეს მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალების წარმატებით განაღდების საქმეს. მათ პროდუქციის რეალიზაციის დავალებას — 830 ათას მანეთს — 30 ათასი მანეთით გადააჭარბეს და გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს. იანვარში შეკეთებულია 50 სამგზავრო ვაგონი და 7 ელექტროსექცია.

სტარტზე განსაკუთრებით დაწინაურდა საწყობო-სამსხმელო და ელექტროსექციების საამქროები (უფროსები — დ. ჯიქია და მ. წილოსანი). მექანიკურმა საამქრომ (უფროსი — ბ. ჩხეიძე) და საწარმოს მოწინავე მუშებმა ვ. კუპრაძემ, მ. ბეჟუაშვილმა, გ. ბედიამ, ზ. ფირცხალაიშვილმა, ე. ბეჟუაშვილმა და სხვებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის სამი წლის დავალება კონსტიტუციის პირველი წლისთავის აღსანიშნავად 7 ოქტომბრისათვის შეასრულონ.

## ვადამდე, მეტი და უკეთესი ხარისხის

ცხინვალი. (საკ. კორ.) ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა მოიწონა და მხარი დაუჭირა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ".

კოლექტივმა ვალდებულება იკისრა უფრო მეტი გააკეთოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი ტექნიკური დონის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლებისათვის.

1978 წელი კარგად დაიწყეს საწარმოში. აქ გადაჭარბებით სრულდება ყოველდღიური გეგმები.

ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად მიმდინარე ხუთწლედის სამი წლის საწარმოო დავალებანი შეასრულონ ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავისათვის.

გ. თედეევი.

## მღვიმევიში ახალი საამქრო

ქუთაისი. (საკ. კორ.). ფართოდ გაჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის დამკვრელური წლის დავალებათა შესრულებისათვის, მელითოფონეებმა იანვარშივე მოიპოვეს პირველი წარმატება. მათ გეგმის გადამეტებით აწარმოეს 40 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხანაში წლის დამდეგიდან ამოქმედდა ახალი — გამზადებული საღებავების საამქრო.

იანვრის პირველი დღეებიდანვე დაწინაურდნენ შაბიამნისა და სრესილი საღებავების საამქროები, რომლებსაც გ. ქაპატაძე და ჯ. არსენიძე ხელმძღვანელობენ. დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მეაპარატეები ლ. შარვაშიძე, გ. რიკაძე, ნ. ახვლედიანი, რ. გუგულიანი.

მელითოფონეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა აღებული ტემპი კიდევ უფრო გააძლიერონ და ხარისხის ხუთწლედში მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვან.

დ. გედენიძე.

## წლიური დავალება — 7 ოქტომბრისათვის

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივი მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში გზავნის თავის პროდუქციას. ამჟამად ქარხანა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან 13 მოდელის ჩარხს უშვებს. ქარხნის მიერ გამოშვებული აგრეგატების საიმედოობისა და გამძლეობისათვის ბრძოლა გრძელდება.

დამკვრელურად დაიწყეს თბილისელმა ჩარხმშენებლებმა ხუთწლედის მესამე წელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წერილით აღფრთოვანებულმა საწარმოს მუშებმა გადაწყვიტეს იშრომონ მაღალნაყოფიერად, მათ მხარი დაუჭირეს მოსკოველთა თაოსნობას და გადაწყვიტეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმა 7 ოქტომბრისათვის — ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის შეასრულონ. სურათზე: მოწინავე ამწყობი ზეინკლები დემენტი ნარტყოშვილი (მარცხნივ) და ზურაბ ბოლოთაშვილი.

ვ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## მხარში ამოუდგებით

როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილშია აღნიშნული, მეცხოველეობის აღმავლობისათვის ლაშქრობა საერთო-სახალხო საქმეა და, როგორც ყოველთვის, სოფელს ახლაც მხარში უნდა ამოუდგეს ქალაქი. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა სამრეწველო ნარჩენებით გამოვზარდოთ ღორი და გარკვეული წვლილი შევიტანოთ ხორცის წარმოებაში, გვაქვს ამის გამოცდილებაც.

საიუბილეო წელს გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე ნავთლუღის, დიდუბისა და პირველი პურპროდუქტების კომბინატებმა ააგეს პრიმიტიული ფერმა, სადაც გავასუქეთ 234 სული ღორი და სახელმწიფოს მივყიდეთ 130 ცენტნერზე მეტი ხორცი.

მეათე ხუთწლედის მესამე წელს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატმა (დირექტორი ვ. ბესელია) გადაწყვიტა ფერმაში არსებული 230 ნეზვისაგან მიღებული გოჭები გაასუქოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ ცოტა 1.400 ცენტნერი ხორცი. ამასთან ერთად კომბინატის მოსამსახურეებმა რ. მინდორაშვილმა, ბ. ახვლედიანმა და სხვებმა გადაწყვიტეს მხარში ამოუდგნენ კომბინატს, გაასუქონ და თითოეულმა სახელმწიფოს მიყიდოს 1.000 კილოგრამი ღორის ხორცი. სულ კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა სახელმწიფოსათვის 250 ათასი კილოგრამი ღორის ხორცის მიყიდვა იკისრეს.

ზ. მაღლაკელიძე,
თბილისის ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორის მოადგილე.

„სალუტ-6", „სოიუზ-27", „პროგრეს-1"

# კმაგაწყობა ორბიტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 2 თებერვალი. (საკდესი). იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს სამუშაო დღე პილოტირებულ ორბიტულ კომპლექსში მოსკოვის დროით 6 საათსა და 30 წუთზე დაიწყო. დღეს, პროგრამის თანახმად, უნდა მოეწყოს „სალუტ-6" სადგურის იმ საწვავით კმაგაწყობის ოპერაციები, რომელიც „პროგრეს-1" სატვირთო სატრანსპორტო ხომალდმა აუტანა.

მოსამზადებელი ოპერაციების მოწყობის შემდეგ, რომლებშიც სადგურისა და სატრანსპორტო ხომალდის საბორტო სისტემების კონტროლი, საწვავის ჩასასხმელი მაგისტრალებისა და ავტომატური მოწყობილობის შემოწმება შედიოდა, ეკიპაჟი შეუდგა სადგურის ავზების საწვავით ავსების სამუშაოებს. კმაგაწყობის პროცესი ხორციელდებოდა ეკიპაჟისა და ფრენის მართვის ცენტრის სპეციალისტების კონტროლით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და კოსმონავტთა მოხსენებების თანახმად, „სალუტ-6" სადგურის საწვავით კმაგაწყობის პროგრამა მთლიანად შესრულდა.

ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-6" — „სოიუზ-27" — „პროგრეს-1" კოსმოსური კომპლექსის ფრენა გრძელდება.

# ახალი ამბები

მინსკი. ყოველ ორმოც წამში ორი დეტალის გამოშვება შეუძლია ახალ ავტომატიზებულ კომპლექსს. იგი 25 იანვარს ნაბერეჟნიე ჩელნიში ავტომატური ხაზების ქარხანამ გაგზავნა. აგრეგატი გათვალისწინებულია ავტომობილების საჭის მართვის დეტალების დამზადებისათვის. ამ კომპლექსით მინსკელმა ჩარხმშენებლებმა დაიწყეს კამის საავტომობილო ქარხნისათვის მანქანების დეტალების სრული მექანიკური დამუშავების მოწყობილობის გაგზავნა.

დუბოსარი. (მოლდავეთის სსრ). კოლმეურნეობა „ფრუქტოვი დონბასში" დუბოსარის სოფლის პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმა გახსნა მემანქანე ტრაქტორისტებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამმართველთა მოსამზადებელი ფილიალი. აქ ასწავლიან სასწავლებლის პედაგოგი-ინჟინრები და მეურნეობის სპეციალისტები, სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ასეთი ფილიალები, რომლებიც მოლდავეთის ბევრი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა, გაზაფხულამდე ორი ათას მექანიზატორს მოამზადებენ.

უფა. ფენოლისა და აცეტონის — პოლიმერის გამოსაშვები ნედლეულის დიდი წარმოება გადაეცა საექსპლოატაციოდ სინთეზური სპირტის ქარხანაში. 25 იანვარს აქ პირველი პროდუქცია მიიღეს. მშენებლებმა სამუშაოები ერთ წელიწადში დაამთავრეს — გეგმით გათვალისწინებულზე ოთხი თვით ადრე. ექსპლოატაციის მუშაკებმა გადაწყვიტეს ვადამდე აითვისონ ახალი წარმოების საპროექტო სიმძლავრე.

ალმა-ათა. პირველი მრავალპროფილიანი სასოფლო სასწავლო კომბინატი გაიხსნა ყაზახეთში. სასწავლო კომბინატი, რომელიც შექმნეს „ალმაათასოფლმშენმონტაჟის" ტრესტმა და „ყაზახსოფლტექნიკის" გაერთიანებამ, მოამზადებს ათი სპეციალობის მაღალკვალიფიციურ მუშებს. მეცადინეობა დაიწყო შეიდასმა კურსანტმა — მომავალმა მემონტაჟე მშენებლებმა და მომპირკეთებლებმა, გამმართველმა ზეინკლებმა და მექანიკოსებმა, მემანქანე ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მანქანური წველის ოსტატებმა, სასუქებელი კომპლექსების ოპერატორებმა. (საკდესი).

# აეროფლოტის მუშაკთა თათბირი

2 თებერვალს მოსკოვში გაიმართა სამოქალაქო ავიაციის მეთაურ-ხელმძღვანელთა შემადგენლობის და წარმოების მოწინავეთა თათბირი. თათბირის მონაწილეებმა შეაჯამეს 1977 წლის მუშაობის შედეგები და განიხილეს სამოქალაქო ავიაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით.

მოხსენება გააკეთა სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ბ. პ. ბუგაევმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელები, საავიაციო ტექნიკის შემქმნელები.

თათბირზე მიიღეს სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საკდესი).

# პრესა და შეჯიბრება

მოსკოვში ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში დამთავრდა საკავშირო პრესკონფერენცია თემაზე: „მეათე ხუთწლედის წინა ხაზზე. წელი მესამე". პრესის, ტელევიზიისა და რადიოს, საინფორმაციო სააგენტოების მუშაკებმა განიხილეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ამოცანები 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის შესაბამისად".

ჟურნალისტების წინაშე გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საკდესის კორ.).

# მეგობრულ ვითარებაში

1 თებერვალს გაიმართა ა. ნ. კოსიგინისა და ალი ნასერ მუჰამედის შეხვედრა.

საუბრის დროს ა. ნ. კოსიგინმა და ა. ნ. მუჰამედმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ განუხრელად ვითარდება სსრ კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა, ერთმანეთს ემთხვევა ორივე მხარის პოზიციები ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის ბრძოლის საკითხებში, აგრეთვე გააცნეს ერთმანეთს თავ-თავიანთ ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის მიმდინარეობა.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

2 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ვ. ოგარკოვმა მოლაპარაკება დაიწყეს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციის — ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ა. ნ. მუჰამედი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-სამხრეთ იემენის ურთიერთობის საკითხებზე. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისწრაფვიან კვლავაც გაატარონ ორი ქვეყნის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და განმტკიცების ხაზი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს, კოლონიალიზმისა და რასიზმის ნაშთების ლიკვიდაციისათვის.

გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას, რომელიც გამწვავდა ეგვიპტე-ისრაელის სეპარატულ გარიგებათა პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის მხარდამჭერი იმპერიალისტური ძალების მოქმედების შედეგად. ახლო აღმოსავლეთის ამბებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა, რაც შეიძლება მალე იქნეს მიღწეული ყოვლისმომცველი და მტკიცე მოწესრიგება მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებათა ცნობის საფუძველზე. განიხილეს აგრეთვე აფრიკის რქისა და მეწამული ზღვის რაიონში შექმნილი მდგომარეობის საკითხები.

ამავე დღეს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებას. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით — მშენებლობის მინისტრმა ჰეიდარ აბუ ბაქრ ალ-ათასმა.

ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი; იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — ალი ნასერ მუჰამედი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები.

სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ალი ნასერ მუჰამედის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს ა. ნ. კოსიგინმა და ალი ნასერ მუჰამედმა სიტყვები წარმოთქვეს. სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ამავე დღეს ალი ნასერ მუჰამედი ეწვია ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს და გვირგვინით შეამკო იგი. ა. ნ. მუჰამედმა გვირგვინი მიიტანა აგრეთვე კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. (საკდესი).

ენგურის ჰიდროელექტროსადგური დღეს

# განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე გაიმართა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს შტაბის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა შტაბის უფროსი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის მოადგილე ნ. მ. ივანცოვი. სხდომას ესწრებოდნენ შტაბის წევრები: სსრ კავშირის „მთავარჰიდროენერგომშენის" უფროსი ვ. ი. ბორისოვი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგიერთი ტრესტის, ინსტიტუტისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

დასახეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპების დამთავრების კონკრეტული ვადები, აგრეთვე განსაზღვრეს თაღიანი კაშხალის აგების, სადერივაციო გვირაბის მშენებლობის დამთავრების ამოცანები და ვადები, მიმდინარე წლის 7 ოქტომბრისათვის — სადგურის პირველი აგრეგატის, 7 ნოემბრისათვის — მეორე აგრეგატისა და 1 დეკემბრისათვის მესამე აგრეგატის დამონტაჟება.

სხდომაზე ოპერატიულად გადაწყვიტეს მშენებლობის, მშენებლებისა და მემონტაჟეებისადმი საჭირო დახმარების გაწევის ტექნიკური საკითხები, დაადგინეს კონკრეტული დავალებები „სპეცჰიდროენერგომონტაჟისა" და „ჰიდროსპეცმშენის" სუბსაიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოების მიხედვით.

აღინიშნა, რომ საჭიროა მიმდინარე წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამუშაოებელი ობიექტის წრავალათასიან კოლექტივთან პარტიულ-ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერება, ბრიგადებსა და უბნებს შორის სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაჩაღება.

მიღებულია გადაწყვეტილება ყოველთვე მოაწყონ შტაბის სხდომა, განიხილონ, თუ როგორია საქმის ვითარება მშენებლობაზე, როგორ სრულდება ადრე ნაკისრი გადაწყვეტილებები, დასახონ მშენებლობის შემდგომი დაჩქარების ღონისძიებანი.

შტაბის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ი. ანდრონიკაშვილი. (საქინფორმი).

# მთავარი რეზერვები: ორგანიზებულობა, დისციპლინა, ინიციატივა

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი!

## პარტიული ორგანიზაცია და ეკონომიკა

ოდითგანვე ასე ხდება: ადამიანები გზასაყართან ცოტა ხნით შეჩერდებიან ხოლმე, გონების თვალით გადახედავენ განვლილს, მიღწეულითა და მოპოვებულით გახარდებიან. მიუღწეველსა და ნაკლოვანებებს დაიხსომებენ, მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებსაც დაისახავენ, იმაზეც დაფიქრდებიან, თუ რომელი გზა აირჩიონ სამერმისოდ და როგორ განვლონ იგი, რით იხელმძღვანელონ, რა გააკეთონ, რათა მომავალში უკეთ წარმართონ თავიანთი საქმიანობა და ცხოვრება. ასეთი რამ ოდესმე ყოველი ადამიანის ცხოვრებაში მოხდება, მაგრამ არის ერთი განსაკუთრებული და გამორჩეული მომენტი — ახალი წლის დილა, როცა პლა-

[illegible]

...ციის წარმოებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ და სამშობლოს 12 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი ნაწარმი მივყიდეთ. საგრძნობლად გაუმჯობესდა და განმტკიცდა მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაიხვეწა წარმოების ტექნოლოგია, მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა აქტიურობა.

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმების შედეგებზე, მის გადაწყვეტილებებზე და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე. შევიმუშავეთ კომპლექსური გეგმა. მაგრამ მანამდეც საჭირო იყო, რომ რაიონის მშრომელებს ახალი წლის პირველი დღეებიდანვე სწორედ ამ პლენუმების გადაწყვეტილებებითა და სულისკვეთებით დაეწყოთ შრომა. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის დამთავრების მეორე დღესვე რაიონის პარტიული აქტივის კრების მონაწილეებს გავაცანით მათი შედეგები, დავსახეთ ღონისძიებები, რომ თითოეულ მშრომელს დაწვრილებით შეესწავლა პლენუმის მასალები.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს აღნიშნული პლენუმების გადაწყვეტილებები.

[illegible]

ლონ, რა თქმა უნდა, პარტიის რაიკომის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით. ეკონომიკაში პარტიული ხელმძღვანელობისას პარტიის რაიკომი ცდილობს მეცნიერულად, კომპლექსურად მიუდგეს ამ საკითხს, უფრო დახვეწოს და სრულყოს მუშაობის სტილი და მეთოდები, სრულყოფილად გამოიყენოს იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის მდიდარი არსენალის შემადგენელი ელემენტები...

პარტიის რაიკომი ცდილობს საგანგებო ყურადღება დაუთმოს რაიონის სამრეწველო განვითარების დაგეგმვის სრულყოფის, მისი ეკონომიკური დასაბუთებისა და პროგნოზირების, წარმოების ეფექტიანობისა და კულტურის, პროდუქციის ხარისხის, ტექნიკური და ესთეტიკური დონის ამაღლების საკითხებს.

[illegible]

ქმედებითი უნარის გამოვლენის საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია.

დისციპლინა და პასუხისმგებლობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ცნება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საწარმოო მაჩვენებლების დონეს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ჩვენი რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას და საქმითაც უპასუხეს მას.

[illegible]

3. გელაშვილი,
საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი.

## „კომუნისტის" კრიტიკულ გამოსვლის შემდეგ

## რეიდმა დარღვევა გამოავლინა

რედაქციას უპასუხეს პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტი და „საქსპორტვაჭრობის" დირექცია.

ხარეიდო მასალაში, რომელიც „კომუნისტში" დაიბეჭდა, მხილებული იყო წყალტუბოს სავაჭრო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები. ამის გამო პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტი და „საქსპორტვაჭრობის" დირექცია გვაცნობებენ:

პარტიის საქალაქო კომიტეტმა განიხილა რეიდის მასალები და მკაცრი ღონისძიებები განახორციელა. რაიკოოპვაჭრობის № 5 მაღაზიის გამგე ა. ს. იობიძე და გამყიდველი შ. კეთილაძე მოხსნილნი არიან სამუშაოდან, ხოლო კოოპვაჭრობის დირექტორს ნ. მამალაძეს სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

[illegible]

# შევასრულოთ მუშაობა, ავამაღლოთ ადგილობრივი კომისიების მებრძოლურობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და დარღვევებთან ბრძოლის კოორდინაციის კომისიაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნენ და აქტიურ საქმიანობას შეუდგნენ სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და ნებართვურ მოვლენებთან ბრძოლის კოორდინაციის კომისიები.

[illegible]

# განძი პალიასტომის ტბის პირას

მეცხოველეობა უპირველესი საზრუნავია

მე იყო რამდენიმე ათეული წლის წინათ. გურიის გლეხკაცობა ყოველი მტკაველი მიწის სავარგულად ღაღადება პალიასტომის ტბის სანაპიროზე. დაჭაობებულ მიწებზე პრიმიტიული წესით, მარილა და თოხით გაუვალი პატარა-პატარა არხები ამოთხარეს...

[illegible]

△ კოლხეთის ჭაობზე შეტევა გრძელდება!
△ პირუტყვის იაფი საკვები — ნათაობარზე!
△ იაფი საკვები, იაფი ხორცი და რძეა!

[illegible]

## „კომუნისტი" № 1

[illegible]



КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის ტრიბუნაზე

# შემოქმედ ახალგაზრდობას — ჩვენი ზრუნვა

## რა ასულდგმულებს ტრადიციებს?

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ

ამას წინათ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი — „როგორ სრულდება საქართველოს რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

1976 წლის 21 ოქტომბერი. ამ დღეს გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. ამასთან დაკავშირებით, განვლილ გზას რომ გადახედავენ, რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციაში ბევრი რამ მოაგონდებათ: დღე, როცა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის კომისია — ერთ-ერთი პირველი ჩვენს ქვეყანაში; დღე, როცა ბაკურიანში დაიწყო ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენციის პირველი სემინარი; დღე, როცა ახალგაზრდა პოეტებისა და მუსიკოსების საშეფო ბრიგადა პირველად წა-...

...ლადი ორგანიზაციის, შემოქმედებითი დაწესებულებისა და უმაღლესი სასწავლებლის...

...კომპლექსი ახალგაზრდობას დაეთმო. ცენტრს რომ გასცდებით, თქვენს თვალწინ ფართოდ გადაიშლება ეს კომპლექსი. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარებით საქართველოში ახალგაზრდული თეატრები გაიხსნა ზესტაფონსა და ონში, კინომსახიობის თეატრი — თბილისში, გაერთიანება „დებიუტი“ — კინოსტუდია...

### ქიმიის მიმართულება

### შტაბიც და სახელოსნოც

(დასასრული 4-ე გვ.)

საქდესი იტყობინება
მსოფლიოს ამბები

## „პოლიტიკა“ ლ. ი. ბრეჟნევის შრომების შესახებ

ბელგრადი, 1 თებერვალი. (საქდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ნაშრომებს ობიექტურად უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის შინაგანი განვითარებისათვის, აგრეთვე საბჭოთა საგარეო პოლიტიკისათვის, წერს გაზეთი „პოლიტიკა“ სტატიაში, რომელიც იმას ეძღვნება, რომ სსრ კავშირში გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეექვსე ტომი — „ლენინური კურსით“. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები, განაგრძობს გაზეთი, მუდამ ზუსტად ასახავენ სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განვითარების მიმართულებებს, რომლებიც უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიური გადაწყვეტის შედეგია.

მეექვსე ტომი ნაშრომებისა „ლენინური კურსით“ განსაკუთრებით საინტერესოა, განაგრძობს გაზეთი, რადგან ტომში შევიდა მოხსენებები და სიტყვები, რომლებითაც ლ. ი. ბრეჟნევი გამოვიდა უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე, კერძოდ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მომზადების პერიოდში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის გამო. აღნიშნული გამოსვლები განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რადგან ლ. ი. ბრეჟნევმა მათში ჩამოაყალიბა მთელი რიგი ახალი იდეები საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ.

## მეგობრულ ვითარებაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საქდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, დღეს ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. იგი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ...

...ბასა და განხორციელებაში, რომლებიც ხელს უწყობენ დაძაბულობის შენელების პროცესებს, მშვიდობის განმტკიცების საქმეს, იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ჯერ კიდევ ქმნიან დაძაბულობას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა მან, არასოდეს არ იშურებდა და არც მომავალში დაიშურებს მეცადინეობას ისეთი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის რქის რაიონის, კვიპროსის ...

... მაზე, რომლის დროს კ. ვალდჰაიმმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის დიდი წვლილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისათვის მხარდაჭერაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ამას, თქვა მან, მოწმობს საბჭოთა კავშირის მრავალი ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავენ განიარაღებას, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და მშვიდობის განმტკიცებას.

ბ. ნ. პონომარიოვმა აღნიშნა, თუ რა როლს ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იმ გადაწყვეტილებათა შემუშავე- ... გასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სპეციალურ სესიას განიარაღების საკითხებზე, იმედოვნებს, რომ იგი მიიღებს ქმედით ზომებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.

საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. შეხვედრაში მონაწილეობდა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ო. ა. ტროიანოვსკი.

## ანექსიის პოლიტიკის წინააღმდეგ

საპროტესტო დემონსტრაციები მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ქალაქებში

ბეირუთი, 1 თებერვალი (საქდესი). კვირის განმავლობაში მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის უდიდეს ქალაქებში ნაბლუსში, რამალაჰში, ელბირსა და სხვა ქალაქებში მიმდინარეობდა მასობრივი დემონსტრაციები და გაფიცვები ანექსიის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ისრაელის ხელისუფალნი ახორციელებენ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე. ეს იყო გამოსვლა პრეზიდენტ სადათის მოღალატური მოქმედების წინააღმდეგ, წერს გაზეთი „პალესტინ ას-საურა“.

ისრაელის ხელისუფლებს სასწრაფოდ გადაჰყავთ დასავლეთ ნაპირზე მსხვილი საჯარისო ქვედანაყოფები და გადააქვთ სამხედრო ტექნიკა, ოკუპირებული ქალაქების ქუჩებში გაიფთრებული შეტაკებები ხდება დემონსტრანტებსა და ისრაელის ჯარებს შორის. იუწყებიან, რომ დაჭრილთა საერთო რაოდენობამ რამდენიმე ათეულ კაცს მიაღწია.

## აგრესიული აქტები

ანგოლის თავდაცვის სამინისტროს განცხადება

ლუანდა, 1 თებერვალი. (საქდესი). ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ დაგმო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ზაირის ახალი აგრესიული აქტები ანგოლის წინააღმდეგ.

ზაირის ხელისუფალნი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში, არა მარტო აიარაღებენ და ჩვენს წინააღმდეგ გზა- ... ... ტერიტორიაზე გადმოჰყავთ თავიანთი სამხედრო მოსამსახურეები.

როგორც თავდაცვის სამინისტრო იუწყება, გასული წლის 4 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 13 იანვრამდე ანგოლის სახალხო რესპუბლიკისა და ზაირის საზღვრებზე რეგისტრირებული იყო 23 შემოჭრა ანგოლის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ასეთი შემოჭრის მოგერიების დროს ტყვედ ჩაიგდეს ზაირის არმიის სერჟანტი. 12 და 13 იანვარს უკანასკნელი შეიარაღებული პროვოკაციების მსვლელობაში ზაირის ჯარისკაცები შემოიჭრნენ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და თავს დაესხნენ ანგოლის ორ სოფელს ნამუტენგასა და სალასაზას.

## სისხლიანი დანაშაული

ლონდონი (საქდესი). ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს ბელფასტში. შეიარაღებულ პირთა ჯგუფი შეიჭრა შინ ფეინის პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის კ. ჰანაუეის სახლში და სროლა ასტეხა. შედეგად დაჭრილია თვით ჰანაუეი და მისი ოცი თვის შვილი, რომელიც კრიტიკულ მდგომარეობაში მიიყვანეს ჰოსპიტალში.

აფრიკის რქის რაიონი

## ცდილობენ აგრესიის გაფართოებას

ეთიოპიის ეროვნული რევოლუციური ოპერატიული სარდლობის განცხადება

ადის-აბება, 1 თებერვალი. (საქდესი). ნატოს ქვეყნები და რეაქციული არაბული რეჟიმები ფარულად უჭერენ მხარს სომალის არმიას, აწვდიან იარაღს, ყოველივე საჭიროს ეთიოპიის წინააღმდეგ აგრესიული ომის გაფართოებისათვის. ამას უცილობლად მოწმობს ტყვეთა ჩვენებები და აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლების დროს ხელში ჩაგდებული ნადავლი, ნათქვამია ეთიოპიის ეროვნული რევოლუციური ოპერატიული სარდლობის განცხადებაში.

ქალაქების ჰარერისა და ჯიჯიგის რაიონში საომარი მოქმედების ... ლებმა გაიძახეს ეთიოპიის წინააღმდეგ.

რევოლუციური ძალები, რომლებმაც მსოფლიო იმპერიალიზმის მხარდაჭერით დაიწყეს შეტევა რევოლუციური ეთიოპიის წინააღმდეგ, ამჟამად ცდილობენ გააფართოონ აგრესია, აღნიშნავს სარდლობა. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა თანამედროვე იარაღს აწვდის სომალს ან უშუალოდ, ან საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების საშუალებით. ტყვე სომალიელი ჯარისკაცები აღიარებენ, რომ ოგადენის რაიონში აგრესიულ ...

... ნატოს ქვეყნების, აგრეთვე რეაქციული არაბული რეჟიმების პირდაპირ მონაწილეობას აგრესიაში, რომელიც სომალის ხელმძღვანე- ... ის ტერიტორიიდან სომალის ჯარების სრული და უპირობო გაყვანა.

## ვითარება ტუნისში

ტუნისი, 1 თებერვალი. (საქდესი). ტუნისის სხვადასხვა რაიონში ამჟამად მიმდინარეობს იმ არეულობის მონაწილეთა გასამართლება, რომელიც მოხდა წინა კვირაში საყოველთაო 24 საათის გაფიცვის დროს. განსასჯელებს აპატიმრებენ სხვადასხვა ვადით — რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე.

როგორც ცნობილია, ტუნისის შრომის საყოველთაო გაერთიანების მოწოდებით გამართული გაფიცვა გამოიწვია მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებამ, და, ამის შედეგად მწვავე წინააღმდეგობებმა ტუნისის პროფკავშირებსა და ქვეყნის ხელმძღვანელობას შორის საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის გამო, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. ტუნისის შრომის საყოველთაო გაერთიანებამ ოფიციალურ ხელისუფალთა ბრალდება დასდო რეპრესიული მოქმედება პროფცენტრების წინააღმდეგ, პროფკავშირებზე ზეწოლა.

ტუნისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ნუირამ ეროვნულ კრებაზე პასუხისმგებლობა არეულობისათვის, რომელთა დროს, ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 42 კაცი და 300-ზე მეტი დაიჭრა, დააკისრა ტუნისის შრომის საყოველთაო გაერთიანების ხელმძღვანელობას.

ტუნისის ეროვნულმა კრებამ მთავრობის მოთხოვნით საპარლამენტო ხელშეუხებლობა ჩამოართვა ტუნისის შრომის საყოველთაო გაერთიანების გენერალურ მდივანს ჰ. აშურასა და ტუნისის შრომის საყოველთაო გაერთიანების აღმასრულებელი ბიუროს სხვა წევრს, რომლებიც დაპატიმრებული არიან.

## გზაჯვარედინზე

4 თებერვალი შრი ლანკის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეა

4 თებერვალს შრი ლანკის რესპუბლიკა დამოუკიდებლობის გამოცხადების 30-ე წლისთავს აღნიშნავს. თუმცა 1948 წლის თებერვლის დამდეგს ამ დღეს ინგლისის ყოფილმა კოლონიამ ცეილონმა მხოლოდ დომინიონის სტატუსი მიიღო, ეს მოვლენა ხალხისათვის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა სრული სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე.

შრი ლანკა ინდოეთის ოკეანეში ამავე სახელწოდების კუნძულზე, ინდოეთის ნახევარკუ- ... ციის მეტროპოლიის აგრარულსანედლეულო დანამატად, გიგანტურ პლანტაციად. ...

... თავსმოხვეული კი არა, თვით ლანკელების მიერ შემუშავებული პირველი კონსტიტუციის პროექტი. სწორედ ეს კონსტიტუცია დაედო საფუძვლად ქვეყნის ძირითად კანონს, რომელიც დაამტკიცა უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ, ეროვნულმა სახელმწიფო ასამბლეამ. 1972 წლის მაისში ინგლისის ყოფილი დომინიონი ცეილონი შრი-ლანკის სუვერენულ რესპუბლიკად გამოცხადდა.





მოკლედ

## ყოველი მხრიდან

### მოითხოვენ გასამართლებას

● ბონი. საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა და ნაციზმის საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტუსაღთა ორგანიზაციებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებს მოსთხოვეს გადასცენ სამხედრო დამნაშავე სს-ელთა ჯარების ყოფილი უფროსი ტულუზაში კ. მიულერი.

მან პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში მხეცურად უსწორდებოდა პატრიოტებს, ბუხენვალდსა და სი- ...

